**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი   ს ა ბ ჭ ო**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №03

**ქ. ბათუმი** **15 თებერვალი, 2017წ.**

**,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისმე–18 მუხლის, ბსუ–ს წესდებისმე–10 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შევიდეს ცვლილება და დამატება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში, კერძოდ დანართში №1 -ის:

**ა) მე–9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:**

,,2. იმ სტუდენტებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს 2016-2017 სასწავლო წლისათვის სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება, მათი მოთხოვნის საფუძველზე, 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასური გადაუნაწილდეთ 2016-2017 წლის სასწავლო წლის ბოლომდე ეტაპობრივად გადასახდელად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის შესაბამისად."

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**
**პროფესორი** **დ. ბარათაშვილი**